

თამარ ცერცვაძე

კაუნასის ტექნოლოგიების უნივერსიტეტი

„Erasmus + აკადემიური მობილობის პროგრამის ფარგლებში მქონდა შესაძლებლობა ვწვეოდი ქალაქ კაუნასის ტექნოლოგიების უნივერსიტეტს.

აღნიშნული მობილობის ფარგლებში, ადგილობრივი და საერთაშორისო სტუდენტებისთვის ჩავატარე ლექციები მენეჯმენტის საფუძვლების და ადამიანური რესურსების მართვის მიმართულებით. ლექციების ფარგლებში ვისაუბრეთ კომუნიკაციის მნიშვნელობაზე და განვახორციელეთ პრაქტიკული აქტივობები, როგორც არის პრობლემური სიტუაციების ანალიზი. პრაქტიკული აქტივობების ფარგლებში, სტუდენტებს ჰქონდათ შესაძლებლობა ჯგუფურად წარმოედგინათ პრეზენტაციები.

სამუშაო ვიზიტის ფარგლებში შევხვდი უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალს და ადმინისტრაციის წარმომადგენლებს. აგრეთვე, მქონდა შესაძლებლობა მათთვის გამეზიარებინა ჩემი გამოცდილება და წარმედგინა კავკასიის უნივერსიტეტი.

ძალიან მოხარული ვარ, რომ მომეცა შესაძლებლობა კავკასიის ბიზნეს სკოლა გამეცნო ლიტუველი კოლეგებისთვის."